ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 482603619

თარიღი:05/02/2026

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის " 2026 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 12 იანვრის №№48.48260126 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ" ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"-ს (ს/კ 421272027) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის #№48,482334622 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"–ს მმართველის 2026 წლის 4 თებერვლის #122/9 წერილის შესაბამისად.

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის" 2026 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 12 იანვრის №№48.48260126 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი 1-ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი"–ს მმართველს (ნ.ხურცია).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

CITY HALL OF ISKALTUBO MUNICIPALITY 421274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი